სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

23 დეკემბერი 2024

N 21/13010

შპს „ჰიდროპროექტს“
მის: ქ. თბილისი, გ. ხანძთელის 23
ელ. ფოსტა: i.tsurtsumia777@gmail.com

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 17 დეკემბრის №11923 განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბიწმენდში მდ. ახატნის ხევის მარცხენა ნაპირზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სააგენტოში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია შპს „ჰიდროპროექტის“ მიერ, ხოლო დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის თავში საქმიანობის განმახორციელებლად მითითებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია. შესაბამისად, სააგენტოში სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, ან წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტს თან არ ერთვის საქმიანობის განხორციელების ადგილის shp-ფაილები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აღსანიშნავია, რომ სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო ღონისძიებათა მოკლე დახასიათების თავში მითითებულია, რომ „წყალმომარაგების სისტემის მოწყობის ძირითადი საპროექტო ღონისძიებების დეტალური აღწერილობა მოყვანილია საერთო განმარტებით ბარათში“. ამასთან, მშენებლობის გრაფიკის თავში განხილულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. ალექსეევკას წყალმომარაგების ქსელის წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები. ვინაიდან, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბიწმენდში მდ. ახატნის ხევის მარცხენა ნაპირზე ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე, ზემოაღნიშნული ინფორმაცია გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას, ასევე, დასაზუსტებელია საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია.

დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის თანახმად, **სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე, საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული ნაპირსამაგრი ნაგებობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, აღნიშნული სამუშაოები არ ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას და არ საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.**

აქვე, გაცნობებთ, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ასევე, დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე. ამასთან, სკრინინგის განცხადებას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/13010-21-2-202412231616